

საქართველოს კანონი

საქართველოს კანონში – “საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებებისა და საქმიანობის წესის შესახებ” ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

საქართველოს კანონში “საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებებისა და საქმიანობის წესის შესახებ” (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №3, 13/02/2004) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის “კ” და “ს” პუნქტები:

“კ¹) უფლებამოსილია წარდგინებით მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს პარლამენტის სესიებს შორის პერიოდში რიგგარეშე სესიის, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას – რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ”

“ს¹) მიმართავს საქართველოს პარლამენტს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიცირების, დენონსირებისა და გაუქმების შესახებ.”

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონში - “ საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებებისა და საქმიანობის წესის შესახებ” ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ მიღება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით გათვალისწინებული კონსტიტუციის ახალი რედაქციის 61-ე მუხლის მეორე პუნქტის შეცვლილ დებულებებთან საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

საქართველოს კონსტიტუციის 61-ე მუხლის მეორე პუნქტთან საქართველოს კანონის – “საქართველოს სტრუქტურის, უფლებამოსილებებისა და საქმიანობის წესის შესახებ” შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შედის ცვლილებები და დამატებები კანონის მე-5 მუხლსა და მე-7 მუხლის მე-5 პუნქტში, რომელთა მიხედვითაც საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის წარდგინებით იწვევს პარლამენტის სესიებს შორის პერიოდში რიგგარეშე სესიას, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას რიგგარეშე სხდომას. თავისმხრივ მოხდა საქართველოს მთავრობის შესაბამისი უფლებამოსილების რეგლამენტაცია, რომ წარდგინებით მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს პარლამენტის სესიებს შორის პერიოდში რიგგარეშე სესიის, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას – რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დამატებითი ხარჯების გაწევას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება
წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)
კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

დ) ინფორმაცია კანონპროექტის ავტორისა და ინიციატორის შესახებ

დ.ა) კანონპროექტის ავტორი
კანონპროექტის ავტორია ა(ა)იპ – “საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია”

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი
კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი.